საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №209/ნ
2013 წლის 25 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 163, 14/12/2010; სარეგისტრაციო კოდი 430010000.22.022.016036) დამტკიცებული მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალში“ (დანართი №4) განხორციელდეს ცვლილება და 060507 ქვედარგის/სპეციალიზაციის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ქვედარგი/სპეციალიზაცია: „060508 საპოლიციო რეგულირების სამართალი.“

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრი — **თამარ სანიკიძე**